პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 302 (10078) | ოთხშაბათი, 22 დეკემბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

## დ ღ ე ს ნ ო მ ე რ შ ი ა:

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტში. „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ 1954 წლის საერთაშორისო სტალინური პრემიების მინიჭების შესახებ (1-ლი გვერდი).

ი. ბ. სტალინის დაბადების 75 წლისთავისადმი (1-ლი გვერდი).

ი. ბ. სტალინის ძეგლის საზეიმოდ გახსნა ბათუმში (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

საბჭოთა მთავრობის ნოტა დიდი ბრიტანეთის მთავრობისადმი (მე-2 გვერდი).

დ. სკობელცინი. — მშვიდობისათვის გამოჩენილი მებრძოლნი (მე-2 გვერდი).

სსრ კავშირის სარეწაო კოოპერაციის რწმუნებულთა მეორე ყრილობა (მე-2 გვერდი).

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოში (მე-2 გვერდი).

პან ძი-ნიანი. — მშვიდობის შესახებ სტალინური იდეების შთამაგონებელი ძალა. ი. ბ. სტალინის დაბადების 75 წლისთავისათვის (მე-3 და მე-4 გვერდი).

საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ

იმის გამო, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებას ვადა უთავდება 1955 წლის 18 თებერვალს და საქართველოს სს რესპუბლიკის მეოთხე მოწვევის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების უფლებამოსილებას — 1955 წლის 22 თებერვალს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები კვირას, 1955 წლის 27 თებერვალს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი, 1954 წლის 20 დეკემბერი.

## დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კამპანია

დღეს „კომუნისტი“ აქვეყნებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას 1955 წლის 27 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ. საარჩევნო კამპანია იწყება აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში.

მიმდინარე არჩევნები დიდი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვლენაა. იგი ჩატარდება გაშლილი სოციალისტური დემოკრატიის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფილი და განმტკიცებულია საბჭოთა კონსტიტუციით. არჩევნებისათვის მზადება და თვით არჩევნები ჩატარდება ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, მეხუთე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ახალი ძალით გაჩაღების ვითარებაში.

ოთხი წელი გავიდა წინა არჩევნებიდან. ეს ოთხი წელი სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგის განუხრელი ზრდის, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის განუწყვეტელი აღმავლობის წლები იყო. მოპოვებული წარმატებანი ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის თავდადებული და შემოქმედებითი შრომის, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობისა და მის მიერ შემუშავებული პოლიტიკის თანმიმდევრულად განხორციელების შედეგია.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა უდიდესი მიღწევები მოიპოვა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. წარმატებით სრულდება მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა. სულ უფრო ვითარდება და იზრდება მძიმე ინდუსტრია, რომელიც სოციალისტური ეკონომიკისა და ჩვენი ქვეყნის ძლიერების საფუძველთა საფუძველია. სწორედ ამიტომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყველა ზომას იღებენ იმისათვის, რომ სწრაფი ტემპით იზრდებოდეს ლითონისა და ელექტროენერგიის წარმოება, სათბობის მოპოვება და მანქანების გამოშვება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელების საფუძველზე უდიდესი წარმატებანია მოპოვებული სოფლის მეურნეობაში და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების განვითარებაში.

სოციალისტური ეკონომიკის წარმატებათა საფუძველზე წლითიწლობით იზრდება ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. განუხრელად ხორციელდება მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების შემცირება. ფართოვდება საბინაო მშენებლობა. მატულობს მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი და კოლმეურნეთა შემოსავალი.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს მშრომელებმა უმაგალითო წარმატებანი მოიპოვეს სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

საარჩევნო კამპანიის გაჩაღებას ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ახალი მძლავრი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობით უპასუხებენ, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის საბრძოლველად.

წინა არჩევნებთან შედარებით მიმდინარე არჩევნებს განსაკუთრებული თავისებურება ახასიათებს. ეს თავისებურება ის არის, რომ საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები ერთდროულად მოხდება. ეს თავისებურება ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისაგან მოითხოვს რაც შეიძლება კარგად, მოფიქრებულად გაანაწილონ ძალები, მაღალ დონეზე მოაწყონ მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა ამომრჩეველთა შორის.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან არჩევნებთან დაკავშირებით კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღონ საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა მასებში, მოსახლეობის ყველა ფენაში. წინა არჩევნებში პარტიულმა ორგანიზაციებმა მასებში პოლიტიკური მუშაობის დიდი გამოცდილება შეიძინეს. ახლა მთავარია უნარიანად გამოვიყენოთ ეს გამოცდილება არჩევნების წარმატებით მოსამზადებლად და ჩასატარებლად. პარტიულმა ორგანიზაციებმა, ჩვენმა პროპაგანდისტებმა და აგიტატორებმა მშრომელებს ღრმად უნდა განუმარტონ კომუნისტური პარტიის პოლიტიკა, რომლის მიზანია უზრუნველყოს სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავება, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი ზრდა, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ყოველმხრივ განმტკიცება. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სოციალისტური დემოკრატიის დიადი პრინციპებისა და ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან შედარებით მის ძირეულ უპირატესობათა ახსნა-განმარტებას, საბჭოთა კონსტიტუციის, სსრ კავშირის მოქალაქეების უფლება-მოვალეობის, კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის მნიშვნელობის ახსნა-განმარტებას.

საჭიროა სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა მჭიდროდ დავუკავშიროთ რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე მდგომ პრაქტიკულ ამოცანებს. არჩევნებისათვის მზადებამ უნდა გამოიწვიოს საბჭოთა ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება, მათი ორგანიზატორული როლის ამაღლება სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, საბჭოთა აპარატის ცალკეულ რგოლებში ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებასა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში.

საარჩევნო კამპანიამ, რომელიც უდიდესი გაქანებით გაიშლება, ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივი საბჭოების ინიციატივისა და თვითშემოქმედების განვითარებას, მშრომელთა მობილიზაციას პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად. პარტიული ორგანიზაციებისა და პარტიული კომიტეტების მოვალეობაა არჩევნებისათვის მზადების დღეებში საწარმოებში, ტრანსპორტსა და მშენებლობებზე, სოფლის მეურნეობაში კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება, ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობის ჯანსაღ, პრინციპულ კრიტიკას, მიიღონ ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ისევე როგორც წინა არჩევნებში, მიმდინარე არჩევნებშიც კომუნისტური პარტია პროფესიულ კავშირებთან, კომკავშირთან და მშრომელთა სხვა ორგანიზაციებთან ერთად გამოვა.

საქართველოს მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით აჩაღებენ საარჩევნო კამპანიას. როგორც ყოველთვის, მომავალი არჩევნები ჩვენი რესპუბლიკის მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის ურღვევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი მათი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების ახალი ბრწყინვალე დემონსტრაცია იქნება.

## „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტში

11, 14 და 18 დეკემბერს მოსკოვში აკადემიკოს დ. ვ. სკობელცინის თავმჯდომარეობით გაიმართა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის სხდომები.

კომიტეტმა განიხილა შემოსული წინადადებანი მიმდინარე წლის საერთაშორისო სტალინური პრემიების მინიჭების შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება ამ საკითხზე.

ქვემოთ ქვეყნდება კომიტეტის დადგენილება 1954 წლის საერთაშორისო სტალინური პრემიების მინიჭების შესახებ.

## „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ 1954 წლის საერთაშორისო სტალინური პრემიების მინიჭების შესახებ

### „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის 1954 წლის 18 დეკემბრის დადგენილება

მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოთ **„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიები** შემდეგ პირებს:

დენის ნოელ **პრიტს** — იურისტს (ინგლისი)

ალენ **ლე ლეაპს** — შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალურ მდივანს (საფრანგეთი)

ტაკინ კოდო **ხმაინგს** — მწერალს (ბირმა)

ბერტოლდ **ბრეხტს** — პოეტსა და დრამატურგს (გერმანია)

ფელიქს **ივერსენს** — ქ. ჰელსინკის უნივერსიტეტის პროფესორს (ფინეთი)

ანდრე **ბონარს** — ლოზანის უნივერსიტეტის პროფესორს (შვეიცარია)

ბალდომერო **სანინ კანოს** — ედინბურგისა და ბოგოტის უნივერსიტეტების პროფესორს, საპატიო დოქტორს (კოლუმბია)

**პრიიონოს** — ჯაკარტის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანს, პროფესორს (ინდონეზია)

ნიკოლას **გილიენს** — პოეტს (კუბა).

კომიტეტის თავმჯდომარე **დ. ვ. სკობელცინი.**

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები **გო მო-ჟო** (ჩინეთი), **ლუი არაგონი** (საფრანგეთი).

კომიტეტის წევრები:

**ანა ზეგერსი** (გერმანია), **ანტონიო ბანფი** (იტალია), **ჯონ ბერნალი** (ინგლისი), **იან დემბოვსკი** (პოლონეთი), **პაბლო ნერუდა** (ჩილი), **მიხაილ სადოვიანუ** (რუმინეთი), **საჰიბ სინგ სოკხეი** (ინდოეთი), **გ. ვ. ალექსანდროვი** (სსრ კავშირი), **ა. ა. ფადეევი** (სსრ კავშირი), **ი. გ. ერენბურგი** (სსრ კავშირი).

1954 წლის 18 დეკემბერი, ქ. მოსკოვი.

## ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი ს ძ ე გ ლ ი ს ს ა ზ ე ი მ ო დ გ ა ხ ს ნ ა ბ ა თ უ მ შ ი

ბათუმი, 21 დეკემბერი (საქინფორმი). ბათუმის ათასობით მშრომელი და სტუმრები, რომლებიც ჩამოვიდნენ საქართველოს რაიონებიდან და ქალაქებიდან, 21 დეკემბერს შეიკრიბნენ სტალინის სახელობის ზღვისპირა პარკის შესასვლელთან მოედანზე, რომელიც მორთულია ცოცხალი ყვავილებითა და ალისფერი ტილოებით. აქ საზეიმოდ გაიხსნა ლენინის საქმის დიდი განმგრძობის ი. ბ. სტალინის ძეგლი.

ამ მოვლენისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ლ. უკლებამ. სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. დ. მამულაძეს.

იგი ლაპარაკობს საბჭოთა ადამიანების დიდი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობაზე უკვდავი ლენინის საქმის ერთგული განმგრძობის დიდი სტალინისადმი, რომელმაც მთელი სიცოცხლე მოახმარა ხალხის სამსახურს, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას. ბათუმის მშრომელები ამაყობენ იმით, რომ რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე დიდი სტალინი ბათუმის პროლეტარიატს რაზმავდა ლენინის დროშის გარშემო, რაზმავდა თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

— აუგეს რა ძეგლი ი. ბ. სტალინს, — ამბობს ამხ. დ. მამულაძე, — ჩვენი ქალაქის მშრომელები, ისევე როგორც აჭარის ყველა მშრომელი, ცხადყოფენ თავიანთ უსაზღვრო ერთგულებას მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, თავიანთ მტკიცე გადაწყვეტილებას მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დაუცხრომლად იბრძოლონ სტალინის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის, კომუნიზმის აშენებისათვის.

შეკრებილნი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან ორატორის სიტყვებს, რომელმაც გამარჯვება უსურვა ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს სახელოვან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ყოვლისშემძლე დროშას.

...მოიხსნა თეთრი საფარი და გამოჩნდა ძეგლი. ი. ბ. სტალინის ბრინჯაოს ქანდაკება აღმართულია მუქი მოპირკეთებული გრანიტის მაღალ კვარცხლბეკზე. ვრცელი მოედნის ყოველ კუთხეში გაისმის მქუხარე ტაში.

სიტყვა ეძლევა ძველ რევოლუციონერს ხარიბ დოლიძეს, პირველი მარქსისტული წრეების მონაწილეს, რომლებიც სტალინმა მოაწყო ბათუმში. მღელვარე სიტყვებით ლაპარაკობს იგი ბათუმის მუშების სახელოვან რევოლუციურ გამოსვლებზე, რომლებსაც ხელმძღვანელობდა ი. ბ. სტალინი, ლაპარაკობს საბჭოთა ხალხის დიდ გამარჯვებებზე, რომლებიც მოპოვებულია მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

ტრიბუნაზეა სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის ზეინკალი ამხ. ი. ლიუტოვი. იგი ლაპარაკობს იმ ქარხნის კოლექტივის შრომით წარმატებებზე, რომელიც დიდი სტალინის სახელს ატარებს. ნავთობგადამმუშავებლები მტკიცედ იბრძვიან ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ეს არის მათი წვლილი საბჭოთა ხალხის ბრძოლაში ლენინ — სტალინის საქმის გამარჯვებისათვის.

მიტინგზე გამოსულმა პოეტმა გ. სალუქვაძემ წაიკითხა დიდი სტალინისადმი მიძღვნილი ლექსი.

ტრიბუნაზეა მეთერთმეტე კლასის მოსწავლე ნ. დარჩია. იგი ლაპარაკობს საბჭოთა ახალგაზრდობის ბედნიერ ცხოვრებაზე, ახალგაზრდობისა, რომელიც გარემოსილია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მამობრივი ზრუნვით, მის მზადყოფნაზე მთელი ძალღონე მოახმაროს ლენინ — სტალინის საქმისათვის, საყვარელი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, კომუნიზმისათვის ბრძოლას.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ო. გოცირიძემ.

მიტინგი დამთავრდა. მშრომელთა დელეგაციები ძეგლის კვარცხლბეკს ამკობენ ცოცხალი ყვავილების მრავალი თაიგულით. საზეიმოდ ჟღერს სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნის მელოდია.

მიტინგის მონაწილენი კიდევ დიდხანს რჩებიან მოედანზე. ისინი სიყვარულით შესცქერიან ლენინის საქმის დიდი განმგრძობის ი. ბ. სტალინის ქანდაკებას.

• • •

ბათუმში გახსნილი ი. ბ. სტალინის ძეგლი აგებულია მოქანდაკე, სტალინური პრემიის ლაურეატის ვ. თოფურიძისა და არქიტექტორების კ. ჯავახიშვილისა და ნ. აბაშიძის პროექტით. სტალინის ბრინჯაოს ფიგურა, რომლის სიმაღლე ექვს მეტრზე მეტია, დგას მუქი მოპირკეთებული გრანიტის 12-მეტრიან კვარცხლბეკზე.

## ი. ბ. სტალინის დაბადების 75 წლისთავისადმი

### სამეცნიერო სესია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

21 დეკემბერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომების დარბაზში გაიმართა სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ი. ბ. სტალინის დაბადების 75 წლისთავისადმი.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა. ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. შუშანაშვილმა წაიკითხა მოხსენება თემაზე „ი. ბ. სტალინი კანონების ობიექტურობის შესახებ“. ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. ნუცუბიძემ მოხსენება გააკეთა თემაზე „ი. ბ. სტალინის შრომა „სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში“. სესიამ მოისმინა აგრეთვე ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის თ. შარაძენიძის მოხსენება „ენათა კლასიფიკაციის პრობლემა ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო შრომებში“, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის ვ. ფრანგიშვილის მოხსენება „აზროვნების განვითარების ზოგიერთი საკითხი ენის შესახებ სტალინური მოძღვრების მიხედვით“. (საქინფორმი).

### ლიტერატურული საღამო გორში

გორი. (სპეც. კორ.). გუშინ, გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრში შედგა ქალაქ გორის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა სხდომა ქართველ მწერლებთან ერთად, რომელიც მიეძღვნა გენიალური ლენინის უკვდავი საქმის დიდი განმგრძობის ი. ბ. სტალინის დაბადების 75 წლისთავს.

საღამოს 7 საათია. თეატრის დარბაზი სავსეა ქალაქის მშრომელებით. იხსნება ფარდა. სცენაზე მოჩანს გენიალური ლენინისა და დიდი სტალინის პორტრეტები. პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელი ამხანაგები, მოწინავე ადამიანები.

გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. ზერეკიძე ი. ბ. სტალინის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილ სხდომას გახსნილად აცხადებს. სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა კრიტიკოს პ. ბახტურიძეს. მომხსენებელმა ვრცლად გააშუქა ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური ბრძოლის, მისი მოღვაწეობის სახელოვანი გზა.

საბჭოთა სახელმწიფოსა და კომუნისტური პარტიის ფუძემდებლისა და შემქმნელის ვ. ი. ლენინის უკვდავი საქმის დიდი განმგრძობი ი. ბ. სტალინი მრავალი ათეული წლის მანძილზე ურყევად წარმართავდა საბჭოთა ხალხის დიად ბრძოლას კომუნიზმისათვის. მომხსენებელი განსაკუთრებით შეჩერდა იმ უდიდეს როლზე, რაც ლენინსა და სტალინს მიუძღვით საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საქმეში.

მოხსენების შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა მწერალმა ს. წვერავამ. ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინისადმი მიძღვნილი ლექსები და მოთხრობები წაიკითხეს მწერლებმა: ს. ფაშალიშვილმა, ს. თავაძემ, ვ. გაბესკირიამ, გ. ცეცხლაძემ, ი. ხოშტარიამ, შ. ფორჩხიძემ, ნ. გურეშიძემ, ვ. გვეტაძემ, ვ. გორგანელმა, მ. კახიძემ, ა. ბეგაშვილმა, ა. ხახუტაშვილმა, ვ. ჟურულმა, მ. მაჭავარიანმა, ა. გეწაძემ.

დასასრულს გაიმართა კონცერტი თბილისისა და გორის საუკეთესო თეატრალური ძალების მონაწილეობით.



გორი. ი. ბ. სტალინის სახელობის მოედანი.

ფოტო შ. კუკულავასი.

# მშვიდობისათვის გამოჩენილი მებრძოლნი

აკადემიკოსი **დ. ვ. სკობელცინი,**
**„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე.**

მშვიდობისათვის დიდი მებრძოლის ი. ბ. სტალინის დაბადების 75 წლისთავის დღეს ქვეყნდება დადგენილება „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო სტალინური პრემიების მორიგი მინიჭების შესახებ. კომიტეტმა, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის დემოკრატიული საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისაგან შედგება, პრემიები მიანიჭა ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის გამოჩენილ მებრძოლთა ახალ ჯგუფს.

მშვიდობის სტალინურმა პრემიამ ფართო საერთაშორისო აღიარება ჰპოვა როგორც ყველაზე მაღალმა ჯილდომ, რაც ენიჭება იმ ბრძოლაში დამსახურებისათვის, რომელიც ჩვენს დროს საერთაშორისო ცხოვრების მოვლენათა ძირითად ღერძს შეადგენს, — მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში. საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ იგი ენიჭებათ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს დამოუკიდებლად მათი პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებებისა. ისევე როგორც წინა წლებში, ლაურეატებს შორის კვლავ ვხედავთ სულ სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების მოღვაწეებს, რომლებსაც აქვთ ერთი საერთო მიზანი — მშვიდობის დაცვა, რასაც ისინი ახმარენ მთელ თავიანთ ძალებსა და ენერგიას.

მშვიდობისათვის აქტიურ მებრძოლთა შორის, რომლებიც დაჯილდოებული არიან პრემიით, არის **დენის პრიტი** — ინგლისის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის თავმჯდომარე. არა მარტო თავის ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც დენის პრიტი ცნობილია როგორც დაუცხრომელი მოღვაწე, რომელიც მთელ თავის ენერგიას ახმარს მშვიდობის სასარგებლოდ მუშაობას. მის სახელთან დაკავშირებულია წარმოდგენა უაღრესად პატიოსან, უმწიკვლო პოლიტიკურ მოღვაწეზე, მტკიცე რწმენისა და მაღალი საზოგადოებრივი მოვალეობის ადამიანზე. იურისპრუდენციის დარგის დიდი სპეციალისტი, რომელმაც 1927 წელს სამეფო ადვოკატის წოდება მიიღო, იგი უკვე მრავალი წელია აქტიურად მონაწილეობს ინგლისის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ცნობილია მისი დამსახურება ომის გერმანელ დამნაშავეთა მხილებაში. ყოველ სიტყვას, რომელიც ამ გამოჩენილი პუბლიცისტის კალამს ეკუთვნის, ყველა ისე აფასებს როგორც ობიექტური მეთვალყურის აზრს. სწორედ ასე შეხვდნენ პრიტის ცნობილ ბროშურებს კორეაში ომის შესახებ, რომლებშიც მან გამოააშკარავა კორეის ამბების ნამდვილი სარჩული. ჩვენი კომიტეტი დარწმუნებულია, რომ დენის პრიტისათვის მშვიდობის სტალინური პრემიის მინიჭებას კმაყოფილებით შეხვდებიან ინგლისის საზოგადოებრიობის ფართო წრეებში.

საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატის მაღალი წოდება მთელი თავისი მოღვაწეობით დაიმსახურა საფრანგეთის მუშათა მოძრაობის გამოჩენილმა წარმომადგენელმა **ალენ ლე ლეაპმა** — საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა. თავისი ცხოვრების უკვე მესამე ათეულ წელს ახმარს ალენ ლე ლეაპი მშრომელთა ინტერესების დაცვის საქმეს მუშათა და მოსამსახურეთა ეკონომიური ინტერესებისათვის ბრძოლამ კანონზომიერად მიიყვანა იგი იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ბრძოლაში მშვიდობისათვის, ახალი ომის საფრთხისა და გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, რომელსაც მხოლოდ გაჭირვება მოაქვს მშრომელებისათვის. იგი დაუცხრომლად მოუწოდებს თავისი ქვეყნის პროფკავშირულ მოძრაობას აქტიურად იმოქმედოს ახალი ომის მომზადების გეგმების წინააღმდეგ. რათა განუმარტოს მშრომელებს მათი ამოცანები ამ ბრძოლაში, იგი წერს ბროშურას, რომელშიც უჩვენებს მათ, თუ საფრანგეთისათვის რა საფრთხეს შეიცავდა ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შექმნის გეგმები. იგი იყო ინდოჩინეთში ომის წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში. დღეს საფრანგეთის სხვა პატრიოტებთან ერთად იგი იბრძვის ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა წინააღმდეგ, რომლებიც უშუალო საფრთხეს უქმნიან ფრანგი ხალხის ეროვნულ ინტერესებს. საფრანგეთის პროფკავშირულ მოძრაობას თვალსაჩინო წვლილი შეაქვს ხალხის ამ პატრიოტულ ბრძოლაში. მშრომელთა ინტერესებისათვის აქტიურ მებრძოლსა და პატრიოტს ალენ ლე ლეაპს მშვიდობის პრემია რომ მიენიჭა, ეს საერთაშორისო აღიარებაა მისი დამსახურებისა თავისი ქვეყნის წინაშე, მთელი მსოფლიოს ხალხთა წინაშე.

მშვიდობის სტალინური პრემიით დაჯილდოებულია ბირმის საზოგადო მოღვაწე, ამ ქვეყნის კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენელი **ტაკინ კოდო ხმაინგი.** მწერალი, ისტორიკოსი, ფილოსოფოსი, ბირმელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ვეტერანი ტაკინ კოდო ხმაინგი უდიდესი პატივისცემით სარგებლობს თავის ქვეყანაში; ხალხი სიყვარულით უწოდებს მას „ბირმის დიდ მოხუცს". თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე მან დაწერა ასამდე პიესა, რომანი, პოემა და სიმღერა, რომლებზეც იზრდებოდა ბირმის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა მთელი თაობა. მან დაწერა აგრეთვე მთელი რიგი წიგნები თავისი ქვეყნის ისტორიის, ბირმის კულტურისა და ლიტერატურის ისტორიის შესახებ, რომელთაგან ბევრს იყენებენ როგორც საერთოდ მიღებულ სახელმძღვანელოებს.

იმ პერიოდში, როცა ბირმაში ბრიტანეთი ბატონობდა, ხმაინგი სათავეში ედგა „ტაკინთა" პარტიას, რომელიც მიზნად ისახავდა ბირმის განთავისუფლებას უცხოეთის უღლისაგან. მაშინ ეს პარტია თვალსაჩინო როლს ასრულებდა ბირმის პოლიტიკურ ცხოვრებაში და თავის გარშემო გაერთიანებული ჰყავდა მთელი ეროვნული ძალები. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ხმაინგს ვხედავთ აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის აქტიურ მებრძოლთა რიგებში. 1952 წლის მაისში სრულიად ბირმის მშვიდობის მომხრეთა პირველმა კონგრესმა იგი ამ კონგრესის ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტად აირჩია. კომიტეტის ხელმძღვანელობით ბირმაში მილიონამდე ხელმოწერა შეაგროვეს მოწოდებაზე ხუთ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის შესახებ. ტაკინ კოდო ხმაინგს არაერთხელ აუმაღლებია პროტესტის ხმა კორეის ომის წინააღმდეგ, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის იმპერიალიზმის ხრიკების წინააღმდეგ. ბირმელი ხალხის დიდი მწერალი, მისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პატრიარქი ტაკინ კოდო ხმაინგი დღესაც განასახიერებს თავისი ხალხის საუკეთესო მისწრაფებებსა და სურვილებს. მისთვის საერთაშორისო სტალინური პრემიის მინიჭება დამსახურებული ჯილდოა მისი მრავალი წლის პროგრესული მოღვაწეობისათვის. ამ ჯილდოს დიდი კმაყოფილებით შეხვდება ბირმის ხალხი.

საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატებს შორის არის გამოჩენილი გერმანელი პოეტი და დრამატურგი **ბერტოლდ ბრეხტი,** რომლის სახელიც კარგად არის ცნობილი გერმანიაში. ბერტოლდ ბრეხტი მილიტარიზმის წინააღმდეგ მტკიცე მებრძოლი გახდა ჯერ კიდევ იმ წლებში, რომლებიც უშუალოდ მოჰყვა პირველ მსოფლიო ომს. მისი „ბალადა მკვდარ ჯარისკაცზე" ომის საწინააღმდეგო მაშინ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ნაწარმოები იყო გერმანიაში. მომდევნო წლებში ბრეხტი ფართო მასების საყვარელი პოეტი გახდა. როცა გერმანელ ხალხს ფეხქვეშ თელავდა ჰიტლერიზმი, მან ემიგრაციაში შექმნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაწარმოებნი („შიში და სასოწარკვეთილება მესამე იმპერიაში" და სხვები), რომლებმაც დიდი როლი შეასრულა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1947 წლიდან ბერტოლდ ბრეხტი ცხოვრობს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და აქტიურად მონაწილეობს გერმანელი ხალხის ახალი ცხოვრების მშენებლობაში. ბევრი მისი ნაწარმოები, რომლებიც გამსჭვალულია მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, ადამიანის ბედნიერებისათვის ბრძოლის იდეებით, ფართოდ არის გავრცელებული როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ გერმანიაში. ბერტოლდ ბრეხტი დგას გერმანელი ხალხის პატრიოტული ძალების პირველ რიგებში, რომლებიც იბრძვიან თავიანთი სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისათვის, გერმანიის მილიტარიზმის მზარდი საფრთხის წინააღმდეგ, ყველა სხვა ხალხთან გერმანელი ხალხის მშვიდობისა და მეგობრობისათვის.

კომიტეტმა პრემია მიანიჭა შესანიშნავ ფინელ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს **ფელიქს ივერსენს.** მშვიდობის მომხრენი ფინეთსა და სკანდინავიის ქვეყნებში მას იცნობენ როგორც პაციფისტური მოძრაობის ერთ-ერთ გულწრფელ და უანგარო მოღვაწეს. ივერსენის პაციფისტური მოღვაწეობა იწყება ჯერ კიდევ ოციან წლებში. პირველმა მსოფლიო ომმა და მისმა შედეგებმა გადამწყვეტი გავლენა იქონია ახალგაზრდა მეცნიერის მსოფლმხედველობაზე, და მან გადაწყვიტა მთელ სიცოცხლეში ებრძოლა მშვიდობის დასაცავად. 1926 წელს იგი ხელმძღვანელობს პაციფისტურ ორგანიზაციას „ფინეთის მშვიდობის კავშირს", ხოლო 1935 წლიდან სკანდინავიის პაციფისტურ ორგანიზაციათა გაერთიანების — „ჩრდილოეთის ქვეყნების მშვიდობის კავშირის" თავმჯდომარეა.

როცა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა გაჩაღდა, ფელიქს ივერსენი უყოყმანოდ მიემხრო ამ მოძრაობას. „ფინეთის მშვიდობის კავშირის" ყრილობაზე 1949 წელს მან განაცხადა: „მშვიდობის მომხრეთა პროგრამა ისეთია, რომ მშვიდობის ყველა ნამდვილ მეგობარს შეუძლია უშენიშვნოდ მოიწონოს იგი". „ფინეთის მშვიდობის კავშირი", რომელსაც იგი სათავეში უდგას, კოლექტიურ წევრად შედის „ფინეთის მშვიდობის მომხრეთა" ორგანიზაციაში, ხოლო თვითონ ივერსენი ამ ორგანიზაციის ვიცე-თავმჯდომარე ხდება. იგი ენერგიულ ბრძოლას აჩაღებს გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ. ივერსენს სკანდინავიის ხალხთა უშიშროების საწინდრად ის მიაჩნია, რომ ამ ნახევარკუნძულის სახელმწიფოები არ შედიოდნენ რაიმე აგრესიულ კავშირში, ატარებდნენ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას.

ფელიქს ივერსენისათვის მშვიდობის სტალინური პრემიის მინიჭება მოწმობს, რომ მშვიდობისათვის ბრძოლა აერთიანებს ყველა კეთილი ნების ადამიანს, განურჩევლად მათი პოლიტიკური შეხედულებისა, რომ გულწრფელი, პატიოსანი პაციფისტები ყოველთვის გამონახავენ საერთო ენას მშვიდობის ყველა მომხრესთან, როცა საქმე ეხება ხალხთა სასიცოცხლო ინტერესების დაცვას.

ლაურეატების სიაში შემდეგ არის **ანდრე ბონარის** — დიდი შვეიცარიელი მეცნიერი ლინგვისტის სახელი. მას კარგად იცნობენ დასავლეთ ევროპის მეცნიერთა და საზოგადოებრივი წრეები. თუმცა პროფესორ ბონარის მეცნიერული ინტერესები დაკავშირებულია ძველ მსოფლიოსთან, — იგი მრავალი წელია ძველ ბერძნულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის ლოზანის უნივერსიტეტში, — მაგრამ იგი არ არის ჩაკეტილი მეცნიერების ფარგლებში და ხედავს, რომ მეცნიერება დაკავშირებულია თანამედროვეობის ამოცანებთან. ამიტომ ბუნებრივია, რომ, როცა 1948 წელს კულტურის მოღვაწეთა ვროცლავის კონგრესის შემდეგ ევროპის ყველა ქვეყანაში დაიწყო ინტელიგენციის ფართო მოძრაობა მშვიდობის დასაცავად, პროფესორი ბონარი განზე არ გამდგარა. მან იკისრა შვეიცარიის ყველა მშვიდობისმოყვარე ელემენტის ერთიან მოძრაობად გაერთიანების ინიციატივა. 1949 წელს პროფესორი ბონარი სათავეში ჩაუდგა შვეიცარიის მშვიდობის მომხრეთა კომიტეტს. თავდასხმების მიუხედავად, პროფესორი ბონარი, როგორც ნამდვილი მეცნიერი, რომელიც ცოცხლობს ხალხის ინტერესებით, იმყოფება თანამედროვეობის ისეთი პროგრესული მოძრაობის პირველ რიგებში, როგორიც არის მოძრაობა მშვიდობის დასაცავად.

დიდი კმაყოფილებით შეხვდებიან ლათინურ ამერიკაში თვალსაჩინო მეცნიერისა და ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის **ბალდომერო სანინ კანოსათვის** მშვიდობის სტალინური პრემიის მინიჭებას. ლათინური ამერიკის ხალხთა თვალში ბალდომერო სანინ კანო ყველაზე მკაფიო წარმომადგენელია ჰუმანიზმისა და ლიბერალიზმისა, რომელთა ერთგული იგი დარჩა მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე. სანინ კანოს მოღვაწეობა და ცოდნა უაღრესად მრავალფეროვანია. იგი არის ავტორი მრავალი ნაშრომისა ფილოლოგიის დარგში, ევროპის ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნე. მისი მეცნიერული დამსახურება აღნიშნულია მისთვის ედინბურგისა და ბოგოტის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორის წოდების მინიჭებით. ამასთან ერთად იგი არის კოლუმბიის ლიბერალური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე, დიპლომატი, რომელსაც მნიშვნელოვანი სახელმწიფო პოსტები ეკავა თავის ქვეყანაში და საზღვარგარეთ. სანინ კანო მუდამ და ყველგან იყო მტკიცე დემოკრატიული პრინციპების ადამიანი, პირდაპირი და პატიოსანი თავის მოქმედებაში.

კოლუმბიასა და ლათინურ ამერიკაში მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის პირველი დღეებიდანვე სანინ კანო შევიდა მის რიგებში და ახლა კოლუმბიის მშვიდობის დაცვის კომიტეტის საპატიო პრეზიდენტია. მოხუცებულობის მიუხედავად, იგი ხელიდან არ უშვებს პუბლიცისტის კალამს, მიმართავს რა ხალხს მოწოდებით იბრძოლოს ახალი ომის პროპაგანდის წინააღმდეგ, ამერიკის იმპერიალიზმის მხრივ კოლუმბიისა და სამხრეთ ამერიკის კონტინენტის სხვა ქვეყნების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ხელყოფის წინააღმდეგ. რეაქციის მრავალმა გალაშქრებამ ვერ აიძულა სანინ კანო უარი ეთქვა თავის რწმენაზე, რომელიც მან შეითვისა დიდი და პატიოსანი ცხოვრების შედეგად. იგი არაერთხელ მიესალმებოდა დემოკრატიულ ბანაკს საბჭოთა კავშირის მეთაურობით, როგორც თავისუფლებისა და პროგრესის ჩირაღდანს, მსოფლიოს ყველა ხალხის დამოუკიდებლობისა და უშიშროების ბურჯს. ბალდომერო სანინ კანოსათვის საერთაშორისო სტალინური პრემიის მინიჭება ლათინური ამერიკის ხალხთა წინაშე, მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნების საქმის წინაშე მისი თვალსაჩინო დამსახურების აღიარებაა.

საერთაშორისო სტალინური პრემია პირველად მიენიჭა ინდონეზიის წარმომადგენელს. პროფესორი **პრიიონო** ცნობილია თავის ქვეყანაში როგორც ინდონეზიის კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე, რომელიც აქტიურად იბრძვის აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისათვის. ენათმეცნიერების საკითხების გამოჩენილი სპეციალისტი პროფესორი პრიიონო ამასთანავე ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას როგორც ინდონეზიის მშვიდობის დაცვის კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარე. როგორც ცნობილია, ამ ქვეყანაში საყოველთაო-სახალხო მოძრაობამ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისათვის უკანასკნელ წლებში დიდ გაქანებას მიაღწია. ინდონეზიელი ხალხი იბრძვის თავისი სამშობლოს სრული განთავისუფლებისათვის უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან, აგრესიული პაქტების წინააღმდეგ, რომლებშიც ამერიკელი იმპერიალისტები ცდილობენ ჩაითრიონ როგორც ინდონეზია, ისე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სხვა ქვეყნები. ინდონეზიის წარმომადგენლისათვის მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის მინიჭება მოასწავებს, რომ ინდონეზიელი ხალხის ეს ბრძოლა ჰპოვებს საერთაშორისო დემოკრატიული საზოგადოებრიობის ფართო აღიარებას და მხარდაჭერას.

პრემიებით დაჯილდოებულთა შორის არის კუბის გამოჩენილი პოეტი, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი **ნიკოლას გილიენი.** გილიენის პოეზია, რომელიც თავისი არსით უაღრესად ხალხურია, დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მარტო კუბაზე, არამედ ლათინური ამერიკის კონტინენტის ყველა ქვეყანაშიც. მისი ლექსები თარგმნილია ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ, პორტუგალიურ და მსოფლიოს სხვა ენებზე, ხოლო ბევრ მათგანზე დაწერილია მუსიკა. 1952 წელს გილიენმა გამოუშვა წიგნი „საყოველთაო-სახალხო მტრედი". ეს წიგნი ნიმუშია მებრძოლი პოეზიისა, რომელიც მიმართულია მშვიდობის დასაცავად და ამერიკის იმპერიალიზმის მიერ ლათინური ამერიკის ხალხთა ჩაგვრის წინააღმდეგ.

მშვიდობის დასაცავად საყოველთაო-სახალხო ბრძოლა ფართოვდება და მტკიცდება, მოიცავს ყველა ქვეყანას და ყველა კონტინენტს. იგი წარმოშობს ახალ და ახალ გმირებს, რომლებიც თავიანთი კეთილშობილური მოღვაწეობისათვის ხალხთა ფართო მასების აღიარებითა და სიყვარულით სარგებლობენ. ჩვენი კომიტეტი ცდილობს გამოხატოს ეს საყოველთაო-სახალხო მადლიერება იმ ადამიანებისადმი, რომლებიც მთელ თავიანთ სულიერ ძალას, მთელ ენერგიას და ნიჭს ახმარენ ჩვენი დროის ყველაზე მაღალი მიზნის მიღწევას — ყველა ხალხის მშვიდობისა და მეგობრული თანამშრომლობის უზრუნველყოფას, მათი კანის ფერის, მათი სოციალური და სახელმწიფოებრივი წყობილების მიუხედავად.

# საბჭოთა მთავრობის ნოტა დიდი ბრიტანეთის მთავრობისადმი

20 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ა. ა. გრომიკომ მიიღო დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში უ. ჰეიტერი და გადასცა მას სსრ კავშირის მთავრობის შემდეგი ნოტა დიდი ბრიტანეთის მთავრობისადმი.

„საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია ინგლისის მთავრობის ყურადღება მიაქციოს იმას, რომ ინგლისის მთავრობის მოქმედება, რაც გამოიხატა ეგრეთწოდებულ პარიზის შეთანხმებათა დადებით, ძირეულად ეწინააღმდეგება ვალდებულებებს, რომლებიც ინგლისმა იკისრა „ხელშეკრულებით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და დიდი ბრიტანეთის შეერთებულ სამეფოს შორის ჰიტლერული გერმანიისა და ევროპაში მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ომში კავშირის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ".

ეს ხელშეკრულება დაიდო 1942 წლის 26 მაისს, იმ დღეებში, როცა საბჭოთა კავშირი და ინგლისი ანტიჰიტლერული კოალიციის სხვა სახელმწიფოებთან ერთად ერთობლივ მძიმე ბრძოლას ეწეოდნენ საერთო მტრის — ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ. ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება, რომელიც განმტკიცებულია საბჭოთა და ინგლისელი ხალხების საუკეთესო შვილების სისხლით და რომლის დადება ნაკარნახევი იყო ორივე ხალხის მისწრაფებით მჭიდრო თანამშრომლობისადმი, ითვალისწინებს იმას, რომ ინგლისსა და საბჭოთა კავშირს ომისშემდგომ პერიოდში მიეღოთ ერთობლივი ღონისძიებანი, რათა აღეკვეთათ შესაძლებლობა ახალი აგრესიისა გერმანიის ან მასთან ევროპაში აგრესიის აქტებით დაკავშირებული რომელიმე სახელმწიფოს მხრივ.

ამ ხელშეკრულებაში, რომელიც დადებულია ვადით 1962 წლამდე, ნათქვამია:

„1. ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები აცხადებენ, რომ მათ სურვილი აქვთ გაერთიანდნენ სხვა თანამოაზრე სახელმწიფოებთან ომისშემდგომ პერიოდში საერთო მოქმედების შესახებ წინადადებათა მიღებაში მშვიდობის დაცვის და აგრესიისათვის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით.

2. ვიდრე ასეთი წინადადებანი მოწონებული იქნებოდეს, ისინი საომარი მოქმედების დამთავრების შემდეგ მიიღებენ მათს უფლებაში არსებულ ყველა ღონისძიებას, რათა შეუძლებელი გახადონ აგრესიის გამეორება და მშვიდობის დარღვევა გერმანიის ან მასთან ევროპაში აგრესიის აქტებით დაკავშირებული რომელიმე სახელმწიფოს მხრივ" (მუხლი 3).

შემდეგ ხელშეკრულებაში ნათქვამია:

„ხელშეკრულების დამდები თვითეული მაღალი მხარე ვალდებულებას კისრულობს არავითარი კავშირი არ შეკრას და მონაწილეობა არ მიიღოს არავითარ კოალიციაში, რომელიც მიმართული იქნება ხელშეკრულების დამდები მეორე მაღალი მხარის წინააღმდეგ" (მუხლი 7).

საბჭოთა კავშირი და ინგლისი ამ ხელშეკრულებით შეთანხმდნენ იმუშაონ ერთობლივად მჭიდრო და მეგობრული თანამშრომლობით ომისშემდგომ პერიოდში ევროპის უშიშროების ორგანიზაციის მიზნით, აგრეთვე ვალდებულება იკისრეს გაუწიონ ერთმანეთს ყოველგვარი სამხედრო და სხვა ურთიერთდახმარება და ხელშეწყობა იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მხარე კვლავ განიცდის აგრესიას გერმანიის მხრივ.

მაშინ როცა ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მშვიდობის შენარჩუნებას და აღკვეთოს გერმანიის ან მასთან ევროპაში აგრესიის აქტებით დაკავშირებული სახელმწიფოების მხრივ ახალი აგრესია, პარიზის შეთანხმებანი, რომლებსაც ხელი მოაწერა ინგლისის მთავრობამ, იწვევენ გერმანიის მილიტარიზმის აღდგენას და ამით ქმნიან გერმანიის ახალი აგრესიის საფრთხეს. ეს შეთანხმებანი ითვალისწინებენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას და დასავლეთ გერმანიის არმიის შექმნას ყოფილი ჰიტლერელი გენერლების მეთაურობით, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების ოკუპირებულ ტერიტორიებზე ნერგავდნენ სისხლისმღვრელი ტერორისა და ჩაგვრის ფაშისტურ რეჟიმს და ანგრევდნენ მრავალ ქალაქსა და სოფელს საბჭოთა კავშირში, ინგლისში, საფრანგეთში, პოლონეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში, რომლებიც გერმანიის მილიტარიზმის აგრესიის მსხვერპლი გახდნენ.

დასავლეთ გერმანიაში არა მარტო იქმნება მრავალრიცხოვანი არმია, რომელსაც ეყოლება ავიაციის დიდი ძალები, ტანკები, მძიმე არტილერია, სამხედრო-საზღვაო ფლოტი, საკუთარი სამხედრო შტაბები, არამედ მთელი მისი მძიმე მრეწველობა, რურის მრეწველობის ჩათვლით, კვლავ დაიწყებს საჭურვლის წარმოებას.

არსებულ საერთაშორისო შეთანხმებათა საწინააღმდეგოდ, პარიზის შეთანხმებანი დასავლეთ გერმანიის მილიტარისტებსა და რევანშისტებს ხელში აძლევენ ატომურ იარაღს, აგრეთვე ქიმიურ და ბაქტერიოლოგიურ იარაღს, რაც ბევრად ადიდებს გამანადგურებელი ატომური, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ომის საფრთხეს მთელი მისი მძიმე შედეგებით და აურაცხელი მსხვერპლით, რაც განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს ევროპის მჭიდროდ დასახლებული ქვეყნებისათვის, რომლებსაც მცირე ტერიტორიები აქვთ.

პარიზის შეთანხმებანი ამასთან ერთად ითვალისწინებენ რემილიტარიზებული დასავლეთ გერმანიის შეყვანას აგრესიულ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში და სხვა სამხედრო დაჯგუფებებში, რომლებიც მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. ეს იმას ნიშნავს, რომ ინგლისი, რომელიც ამ დაჯგუფებათა ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი და მონაწილეა, სამხედრო კავშირს დებს გერმანიის მილიტარიზმთან, რომელსაც ახლა აღორძინებენ, მიუხედავად იმისა, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების თანახმად ინგლისმა ვალდებულება იკისრა არ დადოს რაიმე სამხედრო კავშირი და მონაწილეობა არ მიიღოს რაიმე კოალიციაში, რომელიც მიმართული იქნება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

საბჭოთა მთავრობამ უკვე არაერთგზის და, კერძოდ, თავის ამა წლის 23 ოქტომბრის, 13 ნოემბრისა და 9 დეკემბრის ნოტებში აღნიშნა, რომ ინგლისის მთავრობის ასეთი მოქმედება აშკარად ეწინააღმდეგება ომის შემდეგ თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შინაარსსა და ფორმას. გახდა რა პარიზის შეთანხმებათა მონაწილე, ინგლისმა უხეშად დაარღვია ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებით ნაკისრი თავისი სამოკავშირეო ვალდებულებანი როგორც გერმანიის ახალი აგრესიის შესაძლებლობის თავიდან აცილების მხრივ, ისე იმ მხრივ, რომ მონაწილეობა არ მიიღო სსრ კავშირის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო კავშირებში.

საბჭოთა მთავრობამ არაერთგზის მიაქცია ინგლისის მთავრობის ყურადღება გერმანიის მილიტარიზმის აღდგენის პოლიტიკის მთელ საშიშროებას. ამასთან იგი მუდამ აღნიშნავდა, რომ საჭიროა სსრ კავშირისა და ინგლისის მხრივ ერთობლივი ღონისძიებანი, რომლებიც მიმართული იქნება ევროპაში მშვიდობის და უშიშროების განმტკიცებისაკენ და იმ გადაუდებელი საკითხების მოწესრიგებისაკენ, რომლებიც გერმანიას ეხება.

იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნას შეთანხმება გერმანიის, როგორც მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს ერთიანობის აღდგენის შესახებ სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მოწყობის გზით, საბჭოთა მთავრობა მოითხოვდა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის დაუყოვნებლივ მოწვევას.

საბჭოთა მთავრობამ აგრეთვე წინადადებით მიმართა ინგლისის მთავრობას ხელი შეეწყო იმისათვის, რომ დადებულიყო სრულიად ევროპის ხელშეკრულება ევროპის კოლექტიური უშიშროების ეფექტიანი სისტემის შექმნის შესახებ, რომლის მონაწილეც იქნებოდა ევროპის ყველა სახელმწიფო, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა. ასეთი ხელშეკრულების დადება უზრუნველყოფდა განვითარების მშვიდობიან პირობებს ევროპის ყველა ხალხისათვის. ამ მიზნით საბჭოთა მთავრობა წინადადებას იძლეოდა ნოემბრის დამლევს მოწყობილიყო ყველა დაინტერესებული სახელმწიფოს სრულიად ევროპის თათბირი ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საკითხის განსახილველად.

საბჭოთა მთავრობის ყველა ამ წინადადების მიზანი იყო არ დაგვეშვა გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება, განგვემტკიცებინა და განგვევითარებინა ინგლისისა და საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობა, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ინგლისისა და სსრ კავშირის უშიშროების უზრუნველყოფისათვის, ისე საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა მთავრობა მწუხარებით აღნიშნავს, რომ ინგლისის მთავრობამ უარი თქვა მონაწილეობა მიეღო ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნაში და მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიულ საწყისებზე გერმანიის ერთიანობის აღდგენის გადაუდებელი ამოცანების გადაჭრაში. უარყო რა საბჭოთა მთავრობის ზემოაღნიშნული წინადადებანი და მისი მეგობრული გაფრთხილებანი, ინგლისის მთავრობამ ცხადყო, რომ მას არა სურს ანგარიში გაუწიოს ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ევროპის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებს.

ინგლისის მთავრობის ახლანდელი პოლიტიკა არათუ არ შეესაბამება იმ ვალდებულებებს, რომლებიც ინგლისმა იკისრა ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებით ომის შემდეგ თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ, არამედ პირდაპირ მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების წინააღმდეგ.

ინგლისის მთავრობამ არა მარტო ხელი მოაწერა პარიზის შეთანხმებებს და მიაღწია იმას, რომ პარლამენტმა მოიწონა ისინი, არამედ გაძლიერებულ გავლენას ახდენს ამ შეთანხმებათა სხვა ევროპელ მონაწილეებზე იმ მიზნით, რომ დააჩქარონ მათი რატიფიკაცია. ამით იგი ესწრაფვის დააჩქაროს დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია და მისი შეყვანა აღნიშნულ სამხედრო დაჯგუფებებში.

ასეთ მდგომარეობაში ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება კარგავს თავის მნიშვნელობას და ველარ ემსახურება იმ მიზნებს, რომლებისთვისაც იგი დაიდო. რამდენადაც ინგლისის მთავრობა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ეს ხელშეკრულება, დაადგა დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის აღდგენის პოზიციას და დასავლეთი გერმანია, რომლის რემილიტარიზაცია ახლა ხორციელდება, შეჰყავს სამხედრო დაჯგუფებებში საბჭოთა კავშირისა და ევროპის სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების წინააღმდეგ, ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება არათუ აღარ ემსახურება მშვიდობის ინტერესებს, არამედ, პირიქით, იგი იქცევა მხოლოდ შირმად, რომელმაც უნდა დაფაროს ინგლისის მთავრობის ახლანდელი პოლიტიკა, ინგლისისა, რომელიც შევიდა აგრესიულ სამხედრო დაჯგუფებებში, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები მეთაურობენ. საბჭოთა მთავრობა ვერ შეურიგდება ასეთ მდგომარეობას და მას არ შეუძლია ეს პირდაპირ არ უთხრას როგორც საბჭოთა ხალხს, ისე ინგლისელ ხალხს.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია გარდუვალად სერიოზულად გაართულებს მთელ ვითარებას ევროპაში, რომ ეს რატიფიკაცია არ შეესაბამება ევროპის მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებს, რომ იგი ესაჭიროებათ მხოლოდ ზოგიერთი სახელმწიფოს აგრესიულ წრეებს, რომლებიც ახალ ომს ამზადებენ.

ასეთ პირობებში საბჭოთა მთავრობას თავის მოვალეობად მიაჩნია განაცხადოს, რომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის აქტი ხაზს გადაუსვამს ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას ომის შემდეგ თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ და გააუქმებს ამ ხელშეკრულებას. ამისათვის მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება ინგლისს, ინგლისის მთავრობას.

პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შემდეგ საბჭოთა მთავრობას ისღა დარჩება, რომ შეიტანოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად წინადადება — გაუქმდეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და დიდი ბრიტანეთის შეერთებულ სამეფოს შორის დადებული ხელშეკრულება ჰიტლერული გერმანიის და ევროპაში მისი თანამონაწილეების წინააღმდეგ ომში კავშირის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ.

მოსკოვი, 1954 წლის 20 დეკემბერი".

ინგლისის ელჩმა განაცხადა, რომ იგი გადასცემს ნოტას თავის მთავრობას.

# სსრ კავშირის სარეწაო კოოპერაციის რწმუნებულთა მეორე ყრილობა

17 დეკემბერს კრემლში მუშაობას განაგრძობდა სსრ კავშირის სარეწაო კოოპერაციის რწმუნებულთა მეორე ყრილობა.

სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური საბჭოს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო კამათი, ისევე როგორც პირველ დღეებში, მიმდინარეობდა ფართო კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში. აღნიშნავენ რა სარეწაო კოოპერაციის მუშაობის ნაკლოვანებებს, დელეგატებს შეაქვთ კონკრეტული წინადადებანი სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი განვითარებისათვის, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოებისათვის. ისინი სახავენ მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების ძირეული გაუმჯობესების გზებს.

დელეგატები თავიანთ სიტყვებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ამ ამოცანების გადასაწყვეტად საჭიროა განხორციელდეს მთელი რიგი ღონისძიებანი რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოების კულტურის საერთო ამაღლებას და კოოპერაციული მრეწველობის ტექნიკური დონის შემდგომ ზრდას, შრომის ნაყოფიერების განუხრელად გადიდებას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ლიტვის სსრ სარეწაო კოოპერაციის საბჭოს გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. კ. მ. კეპერშამ, მოსკოვის ოლქის ზაგორსკის რაიონის წითელი არმიის სახელობის სარეწაო არტელის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ნ. ა. ციდილინმა, ბელორუსიის სარეწაო კოოპერაციის საბჭოს გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ნ. ვ. გორიაჩკინმა, კალინინის ოლქის სარეწაო კოოპერაციის საბჭოს გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ს. ი. ფურმანმა და სხვებმა.

სულ საანგარიშო მოხსენებათა გამო კამათში გამოვიდა 50 კაცი.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ა. ნ. კოსიგინმა.

ყრილობის მონაწილეებმა მიიღეს ვრცელი დადგენილება, რომელშიც დასახულია ჩვენი ქვეყნის სარეწაო კოოპერაციის მთელი მუშაობის შემდგომი აღმავლობის გზები.

18 დეკემბერს კრემლში მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის სარეწაო კოოპერაციის რწმუნებულთა მეორე ყრილობამ.

ყრილობამ აირჩია სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური საბჭოს ხელმძღვანელი და საკონტროლო ორგანოები — საბჭო 75 კაცისა და გამგეობა 13 კაცის შემადგენლობით და სარევიზიო კომისია. სსრ კავშირის სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური საბჭოს გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ა. ე. პეტრუშევი. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ა. ი. სმირნოვი.

ყრილობის დელეგატებმა დიდი აღმავლობით მიიღეს მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

ყრილობამ მიიღო ალბანეთის სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კავშირის მისასალმებელი დეპეშა.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრი ამხ. ა. ი. მიქოიანი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. ნ. შატალინი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ა. ნ. კოსიგინი.

(საქტასი).

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოში

# სამედიცინო და სანიტარული ცოდნა—მასებში

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნომ მიიღო დადგენილება მუშა-მოსამსახურეთა შორის სამედიცინო და სანიტარული ცოდნის პროპაგანდაში პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს სამედიცინო და სანიტარული ცოდნის პროპაგანდას ჯანმრთელობის დაცვის, შრომისა და ყოფაცხოვრების ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებისათვის და რომ საჭიროა ამ საქმეში ჩაბმულ იქნან მშრომელთა ფართო მასები.

პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტებსა და საბჭოებს წინადადება მიეცათ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად უზრუნველყონ საწარმოებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე მუშათა საერთო საცხოვრებლებში, სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებსა და ტურისტულ-საექსკურსიო ბაზებში ლექციებისა და საუბრების სისტემატურად მოწყობა, გამოფენებისა და ფოტოვიტრინების მოწყობა ჯანმრთელობის დაცვისა და დაავადებათა თავიდან აცილების, პირადი ჰიგიენის, ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, ბავშვისა და ქალის ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე. რეკომენდებულია ლექტორებად გამოიყენონ დაზღვევის ექიმები და ტექნიკური ინსპექტორები, პროფკავშირული აქტივი.

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნო წინადადებას იძლევა სამედიცინო და სანიტარული ცოდნის პროპაგანდისათვის უფრო ფართოდ გამოყენებულ იქნას კლუბები, კულტურის სასახლეები, წითელი კუთხეები, სასპორტო ბაზები, მრავალტირაჟიანი და კედლის გაზეთები.

აგრეთვე გადაწყდა, რომ პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა სისტემატურად უჩვენონ სანიტარულ-საგანმანათლებლო ფილმები, შეავსონ ბიბლიოთეკები ლიტერატურით სანიტარიის, ჰიგიენის, მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.

(საქტასი).

# საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა

საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობის 17 დეკემბრის საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ლაცისი. სიტყვა ეძლევა უხუცეს ლიტველ მწერალს ა. ვიენუოლისს. მან ილაპარაკა იმის შესახებ, რომ უხუცესმა თაობამ ცხოვრების შესწავლის თავისი უმდიდრესი გამოცდილება უნდა გადასცეს დამწყებ მწერლებს, რადგან ნამდვილი საბჭოთა მწერალი ისე ვერ ჩამოყალიბდება, თუ ცხოვრებას არ იცნობს. ა. ვიენუოლისმა აღნიშნა, რომ ზოგჯერ ჩვენი მრავალფეროვანი ცხოვრების ნამდვილ შესწავლას მოკლე შემოქმედებითი მივლინებებით ცვლიან.

თანამედროვე აზერბაიჯანული ლიტერატურის განვითარებაზე ილაპარაკა ს. რაგიმოვმა. ყრილობებს შორის განვლილ პერიოდში აზერბაიჯანის მწერალთა ორგანიზაცია ერთიანად გაიზარდა. შექმნილია პოეზიისა და პროზის მთელი რიგი დიდი ნაწარმოებები. გაიზარდა ეროვნული დრამატურგია, შეიქმნა ახალი საბავშვო წიგნები. აზერბაიჯანული პროზის საუკეთესო ნაწარმოებები მთელი ჩვენი ქვეყნის კუთვნილება გახდა. ეს ნაწარმოებები თარგმნილია რუსულ და სხვა ენებზე.

ს. რაგიმოვმა შემდეგ აღნიშნა, რომ ცხოვრება მაინც წინ უსწრებს ლიტერატურას. კასპიის ზღვაზე სულ უფრო მაღლა აღიმართა ნავთობის კოშკურები, მებამბეებმა „თეთრი ოქროს" უმაგალითო მოსავალი მოიყვანეს, მაგრამ ამის შესახებ ჯერ კიდევ ცოტა რამ ითქვა ლიტერატურაში.

დასასრულ ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს ორგანიზაციული მუშაობა მწერალთა კავშირებში, რათა ეს კავშირები მთელი ლიტერატურული მუშაობის ნამდვილი შემოქმედებითი ცენტრები გახდნენ.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ილია ერენბურგ-...

[...]

...მოებზე მუშათა კლასის შესახებ, არ არის დაწერილი საინტერესო წიგნები ისტორიულ-რევოლუციურ თემებზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობისადმი, განაცხადა მან, შემოქმედებითი შთაგონების ახალი მძლავრი სტიმულია სომხეთის ლიტერატორებისთვისაც.

ო. გონჩარმა თავის სიტყვაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო მოძმე ეროვნული ლიტერატურების შემდგომი განვითარებისა და მათი შემოქმედებითი ურთიერთკავშირის საკითხებს. მან სინანულით აღნიშნა, რომ კრიტიკოსები, ისევე როგორც ლიტერატურათმცოდნეები, აქამდე საკმაოდ არ მუშაობენ ამ ლიტერატურების გამოცდილების განზოგადებაზე. საკმაოდ არ მუშაობს ამ მხრივ აგრეთვე მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა. ორატორმა კმაყოფილება გამოთქვა იმ გადაწყვეტილების გამო, რომ ალმანახი „ხალხთა მეგობრობა" ყოველთვიურ ჟურნალად გადაიქცევა, და შენიშნა, რომ საჭიროა ვიფიქროთ იმაზეც, რომ შეიქმნას ეროვნული ლიტერატურების სრულიად საკავშირო გამომცემლობა, რომელიც გააერთიანებს გამოცდილ მთარგმნელთა კადრებს.

პოეტმა მ. ისაკოვსკიმ თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდი ყურადღების ღირ-...

[...]

დასასრულ პ. ბროვკა შეეხო ორგანიზაციულ საკითხებს. სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურებისადმი ხელმძღვანელობა თავის ერთ-ერთ მთავარ მოვალეობად უნდა მიიჩნიოს.

სიტყვა ეძლევა პოლონელ მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატს ლეონ კრუჩკოვსკის. იგი მხურვალე სალამს უძღვნის ყრილობას პოლონელ მწერალთა სახელით.

— მინდა გადმოგცეთ, ძვირფასო მეგობრებო, — ამბობს იგი, — რომ ჩვენ, პოლონეთის მწერლები, ამ ყრილობას ისევე მოუთმენლად ველოდით, როგორც თქვენ, და თქვენზე ნაკლები იმედით როდი შევყურებთ მას. ეს ყრილობა სავსებით გამსაკუთრებული ხასიათისაა. ახლა ზევრი ქვეყნის ასობით, ათასობით მწერალმა, მათ შორის პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მწერლებმა, შეიყვარეს დიადი სიმართლე და მშვენიერი სახეები, რომლებიც საბჭოთა ლიტერატურამ მსოფლიოს დაანახვა.

ჩვენ მხურვალედ გვსურს, — თქვა დასასრულ კრუჩკოვსკიმ, — რომ ყრილობა გახდეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი „ადამიან-...

[...]

...თით განამტკიცებს ახალი სოციალისტური მორალი. დიდი სამამულო ომის დროს შექმნილ საუკეთესო პიესებში აღიბეჭდა გმირობა საბჭოთა ხალხისა, რომელმაც დიდი გამარჯვება მოიპოვა ფაშიზმთან ბრძოლაში. საბჭოთა დრამატურგიის უდიდესი მიღწევა იყო პარტიის დიდი ბელადის და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის სახის შექმნა.

მაგრამ ომისშემდგომ წლებში დრამატურგთა და თეატრალურ მოღვაწეთა ერთ ნაწილში გაჩნდა გულდამშვიდების განწყობილება. მათ ეგონათ, რომ ომის შემდეგ შეიძლებოდა განცხრომას მისცემოდნენ. თეატრების სცენები სუსტი, უიდეო პიესებით აივსო.

პარტია გვერდს ვერ აუვლიდა ჩვენი ხელოვნებისათვის ასეთ უცხო მოვლენას. 1946-1948 წლებში აღინიშნა საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილებებით იდეოლოგიურ საკითხებზე. პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი აღნიშნავდნენ საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი განვითარების პერსპექტივებს, მათ განსაზღვრეს მისი პრინციპული ახალი ნიშნები კომუნისტური საზოგადოების აშენების ეპოქაში. საბჭოთა ხელოვნებას მთელი მსოფლიოსათვის უნდა ეჩვენებინა საბჭოთა ადამიანის — გამარჯვებული ადამიანის მორალური სილამაზე და ძალა.

[...]

მაგრამ მინდა შევეკითხოთ ამხანაგებო, განაგრძობს ორატორი, განა დაეხმარება დრამატურგს უაღრესად საინტერესო მოგზაურობა, უაღრესად საინტერესო ადამიანებთან შეხვედრა, თუ მას მოდუნებული აქვს პარტიის წინაშე, ხალხის წინაშე თავისი შემოქმედებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა, თუ იგი ზოგჯერ თავისთვის შეუმჩნევლადაც სახალხო ტრიბუნის ნაცვლად ხდება გულგრილი მოგზაური, რომელიც არაფრით არ არის დაინტერესებული?

საბჭოთა დრამატურგია იმიტომ კი არ ჩამორჩება, რომ შემოქმედების ამ დარგში პროზასა და პოეზიასთან შედარებით ცოტა ნიჭიერი ადამიანი. ეს ასე როდია. დრამატურგიის სისუსტის დასაძლევად მწერლებმა თვითონ უნდა შეიგნონ თავიანთი შეცდომები, გულწრფელად მიიღონ სამართლიანი კრიტიკა, იყვნენ თავიანთი ნაწარმოებთა მკაცრი მსაჯულნი.

უფრო სრულად და ღრმად დაეუფლონ იდეურობასა და რეალიზმს, დაუცხრომლად იუმჯობესონ პროფესიული ოსტატობა, ასახონ ჩვენი სინამდვილის უმნიშვნელოვანესი მხარეები, — ასეთია საბჭოთა დრამატურგების პირველი რიგის ამოცანები. (საქტესი).

# მტკიცედ დავიცვათ სანიტარული წესრიგი

ყოველწლიურად სახეს იცვლის და კეთილმოწყობილი ხდება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი თბილისი. შენდება ახალი საცხოვრებელი სახლები, საწარმოები, სკოლები, გაჰყავთ ქუჩები, აწყობენ სკვერებს. ყველაფერი ეს მოსახლეობის საკეთილდღეოდ კეთდება. მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის ინტერესები მოითხოვს მტკიცე სანიტარული წესრიგის დამყარებას მშენებ-...

[...]

...ვე ყუთი ... გაფანტულია მცენარეობის ნარჩენები. ვახტანგოვის ქ. № 36 სახლში მცხოვრებ მოქალაქე ა. ტერ-სიმონიანს ეზო შინაური ცხოველების ფერმად აქვს გადაქცეული. ეზოებში სანიტარული წესების დარღვევა სახლმმართველთა მოუქნელი მუშაობის შედეგიც არის. ამ მხრივ ცუდად მუშაობენ, მაგალითად, სახლმმართველები ა. იმნაძე, ი. ადი-...

[...]

...მიც ყრიან.

უკანასკნელ ხანს გაიზარდა ქალაქის დამტვერიანება, რაც იმით არის გამოწვეული, რომ საქვამლე მილებზე მოწყობილი არ არის ჭვარტლის დამჭერები, ხოლო დამგველები ქუჩებს წინასწარ მოურწყავად გვიან.

ქალაქის მთელი რიგი საცხოვრებელი სახლების ეზოებში სანიტარულ წესებს არ იცავენ. მაგალითად, სასაკლაოს ქუჩა № 37 სახლის ეზოში სანაგ-...

[...]

...ფესების მიზნით.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანიზაციების ვალია ქმედითი მონაწილეობა მიიღონ არსებულ ნაკლოვანებათა დაძლევაში, უზრუნველყონ დედაქალაქში სანიმუშო სანიტარული წესრიგის დამყარება.

ო. ჯავახაძე,
შ. პატარაძე,

საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის ინსტრუქტორები.

# გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ჭიათურის რაიონის სოფელ მანდაეთის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის დაუდევრობის შედეგად შრომადღეზე გასაცემი სიმინდის ნაწილი გაფუჭდაო, სწერდა რედაქციას სოფლკორი.

წერილი ზომების მისაღებად საქართველოს კომპარტიის ჭიათურის რაიკომს გადაეგზავნა. როგორც ჭიათურის რაიკომი იტყობინება, მანდაეთის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. გოგოლაძეს დაუდევრობისათვის დაედო პარტიული სასჯელი. პარტიული სასჯელი დაედოთ აგრეთვე ბრიგადირებს ლ. გოგოლაძეს, ა. კურტანიძეს და ლ. მუმლაძეს, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს სიმინდის წესიერად დაბინავება.

# მშვიდობის შესახებ სტალინური იდეების შთამაგონებელი ძალა

### ი. ბ. სტალინის დაბადების 75 წლისთავისათვის

მიმდინარე წლის 21 დეკემბერს სრულდება სამოცდათხუთმეტი წელი ვ. ი. ლენინის საქმის დიდი განმგრძობის ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების დღიდან. ჩვენ ამ თარიღს აღვნიშნავთ ხალხთა მზარდი ერთიანობის ვითარებაში, რომლებსაც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიცვან მშვიდობა. ამხანაგი სტალინი გვასწავლიდა, რომ „მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები მშვიდობის დაცვის საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას". ამხანაგ სტალინის ეს მითითება უდიდეს შთამაგონებელ და მამობილიზებელ როლს ასრულებს მშვიდობის დაცვისათვის მსოფლიო მოძრაობაში. ხალხები, რომლებსაც ესმით იმპერიალისტური ბანაკის მხრივ ახალი ომის მოსალოდნელი...

მშვიდობა შეესაბამება მთელი მსოფლიოს მშრომელთა ძირეულ ინტერესებს. ეს განსაზღვრავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკურ ხაზს საერთაშორისო საკითხებში, სხვა ქვეყნების მარქსისტული პარტიების პოლიტიკას.

* * *

კაპიტალისტური ქვეყნების რეაქციულ მმართველ წრეებს და განსაკუთრებით ახლანდელ აგრესიულ ბლოკს, რომელსაც სათავეში უდგანან შეერთებული შტატები, რომელთა ლონძიე-...

[...]

...შტატებსა და ჩან კაი-შის ხროვას შორის, უკანასკნელ ხანს კვლავ გაუარესება დაეტყო საერთაშორისო ვითარებას, რომელშიც მიღწეული იყო დაძაბულობის ერთგვარი შენელება. ეს მოწმობს, თუ რა შორს წავიდა იმპერიალისტური ბლოკის გაათვირება. და ამავე დროს მოწმობს იმ უდიდეს მნიშვნელობას, რაც ამჟამად ენიჭება ჩვენთვის ამხანაგ სტალინის მითითებებს

(დასასრული მე-4 გვერდზე)

# საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 18 დეკემბერი. (საკდეს). დასავლეთ გერმანიის შეიარაღების საკითხზე კამათის — საფრანგეთისა და მშვიდობის ბედის გადამწყვეტი კამათის წინა დღეებში საბჭოთა კავშირის მხრივ სერიოზულ გაფრთხილებათა შემდეგ პარლამენტის მემარჯვენე ჯგუფებში შეშფოთება და დაბნეულობაა. ხალხის მასების მზარდი მოძრაობა გერმანიის მილიტარიზმის შეიარაღების წინააღმდეგ და იმის მოთხოვნა, რომ საფრანგეთმა ერთგულად დაიცვას კავშირი სსრ კავშირთან, გავლენას ახდენს პარლამენტის ვითარებაზე.

მდგომარეობა მენდეს-ფრანსის მთავრობისა, რომელიც დაჟინებით ცდილობს მიაღწიოს ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციას, სერიოზულად შერყეულია, რასაც მოწმობს ის ამბები, რომლებიც მოხდა გუშინ ეროვნულ კრებაში, სადაც მთავრობამ სერიოზული მარცხი განიცადა 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვასთან დაკავშირებით.

საფინანსო კომისიამ უარყო შემოერთებული სახელმწიფოების საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის პროექტი, რადგან ბევრმა დეპუტატმა მკვეთრად გააკრიტიკა მთავრობის პოლიტიკა ინდოჩინეთში. საფინანსო კომისიის ეს გადაწყვეტილება დამტკიცდა ეროვნული კრების სხდომაზე 301 ხმით 291 ხმის წინააღმდეგ. ამრიგად, ბიუჯეტის პროექტი უარყვეს განუხილველად, და მთავრობას წინადადება მიეცა წარედგინა ბიუჯეტის ახალი პროექტი.

მთავრობამ დაუყოვნებლივ შეიტანა ბიუჯეტის ახალი პროექტი, რომელიც წარმოადგენს რამდენადმე შესწორებულ ძველ ვარიანტს. 22 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით მენდეს-ფრანსმა ეროვნული კრების სხდომაზე მოითხოვა, რომ დეპუტატებს განსახილველად მიეღოთ ბიუჯეტის პროექტი და რომ ამ განხილვისათვის დაენიშნათ რიგგარეშე სხდომა 23 საათსა და 30 წუთზე. მენდეს-ფრანსი იმუქრებოდა, რომ დასვამდა ნდობის საკითხს, ე. ი. მიმართა დეპუტატებზე ზეგავლენის ჩვეულებრივ საშუალებას. მან განუცხადა დეპუტატებს, რომ 18 დეკემბერს დიდმნიშვნელოვანი მოლაპარაკება უნდა გამართოს დალესთან და იდენთან და რომ მას ესაჭიროება პარლამენტის მხარდაჭერა. 298 ხმით 289 ხმის წინააღმდეგ, ე. ი. სულ ცხრა ხმის უმრავლესობით, ეროვნულმა კრებამ განსახილველად მიიღო ბიუჯეტის ახალი პროექტი და დანიშნა რიგგარეშე სხდომა, რომელსაც მთავრობა მოითხოვდა.

მაგრამ საფინანსო კომისიამ, რომელმაც სხდომა გამართა ეროვნული კრების სხდომათა შუა შესვენების დროს, უარყო შემოერთებული სახელმწიფოების საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის მეორე პროექტიც.

ეროვნული კრების ღამით გახსნილ სხდომაზე მენდეს-ფრანსი კვლავ დაჟინებით მოითხოვდა მთავრობის ბიუჯეტის პროექტის განხილვას, იმოწმებდა რა „საერთაშორისო ხასიათის მოსაზრებებს“. დეპუტატები იძულებული გახდნენ ხმა მიეცათ მესამეჯერ. მთავრობის ზეგავლენის შედეგად 295 ხმით 293 ხმის წინააღმდეგ, ე. ი. ორი ხმის უმრავლესობით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, საფინანსო კომისიის აზრის საწინააღმდეგოდ შესდგომოდნენ ბიუჯეტის პროექტის მუხლობრივ განხილვას.

მას შემდეგ, რაც ეს განხილვა დაიწყო და დეპუტატებმა ნახევარი საათის განმავლობაში მოიწონეს შემოერთებული სახელმწიფოების საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის კანონპროექტის რამდენიმე პირველი მუხლი, მთავრობამ დასვა ნდობის საკითხი, რომლის შესახებ კენჭისყრა დანიშნულია 20 დეკემბერს დილით. ნდობის საკითხი დასმულია მთლიანად ბიუჯეტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით. კამათი ბიუჯეტის შესახებ გაგრძელდება.

მთავრობის სიჩქარე იმით აიხსნება, რომ კონსტიტუციის თანახმად მთავრობისადმი ნდობის საკითხის კენჭისყრა უნდა მოხდეს ერთი დღეღამის შემდეგ იმ დღიდან, როცა დაისვა ნდობის საკითხი. ამავე დროს, 20 დეკემბრისათვის დანიშნულია ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის კანონპროექტის გამო კამათის გახსნა. გუშინ ეროვნული კრების კულუარებში ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ბევრ მემარჯვენე დეპუტატს, რომლებიც საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის პროამერიკულ კურსს ემხრობიან და ამიტომ სურთ შეთანხმებათა რატიფიკაცია, ამავე დროს სურთ ვინმეს თავს მოახვიონ პასუხისმგებლობა ამ გადაწყვეტილებისათვის. ამიტომ მათ არა სურთ დაუშვან მთავრობის დაცემა რატიფიკაციის საკითხზე კამათის გახსნამდე. მიუხედავად ამისა, ინციდენტი შემოერთებული სახელმწიფოების საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის საკითხზე ცხადყოფს, თუ რამდენად არაპოპულარულია საფრანგეთში გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების პოლიტიკა და რამდენად დაეცა მენდეს-ფრანსის მთავრობის პრესტიჟი მას შემდეგ, რაც ის აშკარად ცდილობს მიაღწიოს დასავლეთ გერმანიის შეიარაღებას.

პარიზი, 20 დეკემბერი. (საკდეს). როგორც უკვე ვიუწყებოდით, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მენდეს-ფრანსმა ეროვნულ კრებაში დასვა ნდობის საკითხი და მოითხოვა, რომ მთლიანად მიღებულ იქნას „შემოერთებული სახელმწიფოების“ საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის პროექტი, რომელიც მთავრობამ წარადგინა. ბიუჯეტის პროექტი ორჯერ უარყო ეროვნული კრების საფინანსო კომისიამ. ეროვნულ კრებაში 301 დეპუტატმა ხმა მისცა პროექტის წინააღმდეგ, რის შემდეგ მთავრობამ შეიტანა ბიუჯეტის ახალი პროექტი და მოითხოვა მისი დაუყოვნებლივ განხილვა.

მენდეს-ფრანსმა, რომელმაც გამოიყენა დეპუტატებზე ზეგავლენის ყველა საშუალება, ნდობის საკითხიც კი დასვა და მიაღწია იმას, რომ ეროვნულმა კრებამ სულ ორი ხმის უმეტესობით (295 ხმა 293-ის წინააღმდეგ) მიიღო გადაწყვეტილება განიხილოს ეს პროექტი.

დღეს დილით ეროვნული კრების სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა მემარჯვენე დეპუტატმა კილისიმ (დამოუკიდებელი რესპუბლიკელი), რომელმაც შეშფოთება გამოთქვა ინდოჩინეთის მდგომარეობისა და ინდოჩინეთში საფრანგეთის გავლენის შენარჩუნების გამო. მეორე დეპუტატმა — პროგრესულ რესპუბლიკელთა კავშირის წევრმა დე შამბრენმა უსაყვედურა მენდეს-ფრანსს იმის გამო, რომ მან ამერიკის შეერთებული შტატების სასარგებლოდ უარი თქვა სამხრეთ ვიეტნამში საფრანგეთის ინტერესების დაცვაზე.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მენდეს-ფრანსმა სიტყვა წარმოთქვა იმ პოლიტიკის დასაცავად, რომელსაც მისი მთავრობა ახორციელებს ინდოჩინეთში. აშკარა ფაქტების მიუხედავად, იგი ამტკიცებდა, რომ ჟენევის შეთანხმებათა პირობები „მთლიანად დამაკმაყოფილებლად“ სრულდება. იგი ცდილობდა აგრეთვე უარეყო ფაქტები, რომლებიც დეპუტატებმა მოიყვანეს. დეპუტატები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ამერიკელი გენერლის კოლინსის პარპაშით სამხრეთ ვიეტნამში, რის შედეგად სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალნი ამერიკის მხარდაჭერით უხეშად არღვევენ დაზავების პირობებს.

მენდეს-ფრანსმა აღიარა, რომ საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკა მიზნად ისახავს „შემოერთებული სახელმწიფოები“ შეიყვანოს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის აგრესიულ ბლოკში, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები აკოწიწებენ. მან განაცხადა, რომ მთავრობა მანილის ხელშეკრულებას ამ ბლოკის შექმნის შესახებ განსახილველად წარუდგენს ეროვნულ კრებას.

მენდეს-ფრანსის სიტყვიდან ჩანს, რომ საფრანგეთის მთავრობას განზრახული აქვს შემდეგშიც ისეთი სულისკვეთებით განახორციელოს თავისი პოლიტიკა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, რაც სასურველია ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. „საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკა, — თქვა მან, — ყოველთვის ითვალისწინებდა იმას, რომ შეერთებული შტატები მხარს უჭერენ ჩვენს მოქმედებას ვიეტნამში...“

შემდეგ გამოცხადდა შესვენება. შესვენების დროს მიმდინარეობდა საპარლამენტო ჯგუფების თათბირები და სხვადასხვა მოლაპარაკება, რომელთა მსვლელობაში მმართველი წრეები ყველა ღონისძიებას ხმარობდნენ, რათა ზემოქმედება მოეხდინათ დეპუტატებზე და მიეღწიათ იმისათვის, რომ მათ ხმა მიეცათ მთავრობის სასარგებლოდ.

სხდომა განახლდა 15 საათზე ადგილობრივი დროით და მაშინვე დაიწყო კენჭისყრა.

უფრო გვიან გამოირკვა, რომ მენდეს-ფრანსის მთავრობისადმი ნდობის საკითხს ხმა მისცა 310 დეპუტატმა, წინააღმდეგ — 172 დეპუტატმა.

პარიზი, 21 დეკემბერი. (საკდეს). როგორც უკვე ვიუწყებოდით, გუშინ საღამოს ეროვნულ კრებაში დაიწყო კამათი ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის საკითხზე, რომლებიც ითვალისწინებენ დასავლეთ გერმანიის შეიარაღებას. ეროვნულმა კრებამ უნდა გამოთქვას აზრი აგრეთვე საარის შესახებ შეთანხმების გამო, რომელიც ადენაუერსა და მენდეს-ფრანსს შორის დაიდო.

ეროვნულ კრებაში შეტანილია ორი კანონპროექტი: ერთი მათგანი რესპუბლიკის პრეზიდენტს ნებას რთავს დაამტკიცოს შეთანხმება საარის შესახებ, რომელიც ძალაში ტოვებს საფინანსო, საბაჟო და ეკონომიურ კავშირს საფრანგეთსა და საარს შორის. მეორე კანონპროექტი რესპუბლიკის პრეზიდენტს ნებას რთავს დაამტკიცოს ოქმები, რომლებსაც ცვლილებები შეაქვთ ბრიუსელის სამხედრო ხელშეკრულებაში, ითვალისწინებენ დასავლეთ გერმანიის შეიარაღებას და მის შეყვანას ამ სამხედრო ბლოკში (რომელსაც „დასავლეთ ევროპის კავშირი“ ეწოდება), აგრეთვე ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულებაში, საოკუპაციო სტატუტის გაუქმებას, რომელიც შეიცვლება შეთანხმებით დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე უცხოეთის ჯარების დატოვების შესახებ.

ყველა ეს დოკუმენტი ჩამოყალიბებულია დაახლოებით 450 გვერდზე. განხილვა 24 დეკემბრამდე გაგრძელდება.

კამათი გაიხსნა საფრანგეთზე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველი წრეების აშკარა ზეგავლენის ატმოსფეროში. როგორც ცნობილია, მთავარი მიზანი პარიზში დალესის და იდენის ჩამოსვლისა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭოს სესიაში, სწორედ ის იყო, რომ დახმარონ საფრანგეთის მთავრობის მეთაურს მენდეს-ფრანსს შეთანხმებათა რატიფიკაციის მიღწევაში. ამ ქვეყნების მმართველი წრეები რომ ნაკლებად უწევენ ანგარიშს ფრანგი ხალხისა და მისი დეპუტატების აზრს, ამას მოწმობს ის, რომ მენდეს-ფრანსს არაერთხელ მიუცია საჯარო დაპირება რატიფიკაციის შესახებ. 19 დეკემბერს ამერიკის იუნაიტედ პრესის სააგენტოს პარიზელი კორესპონდენტი იუწყებოდა, რომ იდენთან საუბარში მენდეს-ფრანსმა „აღუთქვა, რომ გააკეთებს ყველაფერს, რაც მასზეა დამოკიდებული, რათა დააჯეროს დაუყოლიებელი ეროვნული კრება დაამტკიცოს ამ კვირაში გადაწყვეტილება გერმანიის შეიარაღების შესახებ“. „მენდეს-ფრანსმა აშკარად აღნიშნა, — ნათქვამია იმავე ცნობაში, — რომ იგი მიმართავს დეპუტატებს და უაღრესად აქტიურად იბრძოლებს პარიზის შეთანხმებათა დამტკიცებისათვის, რომლებსაც მოჰყვება შეიარაღებული გერმანიის შეყვანა დასავლეთის კავშირში“.

მენდეს-ფრანსმა გუშინ მოითხოვა, რომ კამათი რატიფიკაციის შესახებ გაიხსნას დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც კენჭს უყრიან რეზოლუციას მთავრობისადმი ნდობის შესახებ ინდოჩინეთში მის პოლიტიკასთან დაკავშირებით, თუმცა ბევრმა დეპუტატმა პროტესტი განაცხადა ასეთი აჩქარების წინააღმდეგ.

სხდომებზე ჯერ სიტყვა მიეცემა პარლამენტის სხვადასხვა კომისიების მომხსენებლებს.

გუშინ პირველი გამოვიდა საგარეო საქმეთა კომისიის მომხსენებელი გენერალი ბიიოტი. მისი მოხსენება მიეძღვნა დასავლეთ გერმანიის შეიარაღებისა და ატლანტიკის ბლოკში მისი მიღების საკითხს. ცნობილია, რომ ეს მოხსენება კომისიაში მოიწონეს სულ ერთი ხმის უმეტესობით (16 ხმა 15-ის წინააღმდეგ). მოითხოვდა რა პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციას, ბიიოტი იმიზეზებდა ყბადაღებულ „საბჭოთა საფრთხეს“ და ამტკიცებდა, რომ „ამ პირობებში“ გერმანიის შეიარაღება თითქოს „აუცილებელი“ იყოს. იგი ამტკიცებდა, რომ თუ საფრანგეთმა უარი თქვა პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციაზე, თითქოს ეს „დაარღვევს დასავლეთის წონასწორობას“. მიუხედავად იმისა, რომ ეს აშკარად უსაფუძვლოა, ბიიოტი ცდილობდა დაერწმუნებინა დეპუტატები, თითქოს პარიზის შეთანხმებებში „არაფერია ისეთი, რასაც შეუძლია დაარღვიოს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის შესაძლო მოლაპარაკების მექანიზმი“ და რომ შეთანხმებათა რატიფიკაცია „ოდნავაც არ დაუკარგავს ქმედითობას ოთხი სახელმწიფოს თათბირს“.

გუშინ დილიდან ეროვნული კრების შენობისაკენ განუწყვეტელ ნაკადად მიდიოდნენ მშრომელთა დელეგაციები. სულ დღის განმავლობაში ეროვნულ კრებაში მივიდა 300-ზე მეტი დელეგაცია.

## ჩეხოსლოვაკიის ხალხი აღნიშნავს ი. ბ. სტალინის დაბადების 75 წლისთავს

პრაღა, 21 დეკემბერი. (საკდეს). დღეს ჩეხოსლოვაკიის მშრომელები აღნიშნავენ ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფისა და მისი საქმის დიდი განმგრძობის ი. ბ. სტალინის დაბადების 75 წლისთავს. ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობებსა და რკინიგზებზე, ერთიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ეწყობა ლექციები და საუბრები ი. ბ. სტალინის შესახებ, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშემძლე მოძღვრების, მშვიდობის, დემოკრატიისა და პროგრესისათვის ხალხთა გმირული ბრძოლის შესახებ.

კლუბებსა და კულტურის სახლებში, ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებში გახსნილია ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების ორგანიზატორისა და შთამაგონებლის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი მიძღვნილი გამოფენები.

გაზეთი „რუდე პრავო“ აქვეყნებს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ანტონინ ნოვოტნის სტატიას „სტალინი ლენინის ერთგული მოწაფე და მისი საქმის განმგრძობია“, აგრეთვე მოწინავე სტატიას „ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის დიდი მებრძოლი“.

## ინდონეზიის გაზეთი აღნიშნავს ი. ბ. სტალინის დაბადების 75 წლისთავს

ჯაკარტა, 21 დეკემბერი. (საკდეს). გაზეთი „ჰარიან რაქიათი“ დღეს თავის ფურცლებზე დიდ ადგილს უთმობს ი. ბ. სტალინის დაბადების 75 წლისთავს. გაზეთის მთავარი რედაქტორი ნიოტო სტატიაში ხაზგასმით აღნიშნავს ი. ბ. სტალინის, როგორც ლენინის მოწაფისა და მისი საქმის დიდი განმგრძობის როლს.

ეხება რა ამხანაგ სტალინის როლს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ორგანიზაციის საქმეში, ნიოტო წერს, რომ ინდონეზიის კომპარტია და ყველა პატიოსანი ადამიანი არასოდეს არ დაივიწყებენ სტალინის ანდერძს.

## ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ა. ზაპოტოცკი დაჯილდოებულია სოციალისტური სამშობლოს მშენებლობის ორდენით

პრაღა, 19 დეკემბერი. (საკდეს). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობამ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ანტონინ ზაპოტოცკი მისი დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით ჩეხოსლოვაკიაში სოციალიზმის მშენებლობის საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის დააჯილდოვა სოციალისტური სამშობლოს მშენებლობის ორდენით.

დღეს პრემიერ-მინისტრმა ვილიამ შიროკიმ გადასცა ორდენი პრეზიდენტ ანტონინ ზაპოტოცკის.

## იაპონია-ჩინეთის ვაჭრობის განვითარებისათვის

### იაპონიის პარლამენტის ქვედა პალატის გადაწყვეტილება

პეკინი, 19 დეკემბერი. (საკდეს). როგორც სინხუას სააგენტო ტოკიოდან მიღებული ცნობის დამოწმებით იუწყება, იაპონიის პარლამენტის ქვედა პალატამ მოიწონა რეზოლუცია, რომელიც შეიტანეს სხვადასხვა პოლიტიკურმა პარტიებმა და რომელიც მოუწოდებს მთავრობას იაპონია-ჩინეთის ვაჭრობის განვითარების მიზნით მიიწვიოს იაპონიაში ჩინეთის სავაჭრო დელეგაცია.

## მასობრივი სასპორტო შეჯიბრები



[illegible] განლაგდა ი. ბ. სტალინის ძეგლის წინ.

აქ თავი მოეყარათ გორის მშრომელებს, სტუდენტებს, მოსწავლეებს. ი. ბ. სტალინის ძეგლთან სიტყვები წარმოთქვეს გ. მეყანწიშვილმა, ვ. ნავროზაშვილმა. ლექსები წაიკითხეს სტუდენტებმა და მოსწავლეებმა კ. ქრისტესიაშვილმა, ჯ. ინჯიამ, ლ. ვასილიევამ, ნ. ხარაულმა.

ავტო-მოტოგადარბენის მონაწილეებმა დაათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახლი-მუზეუმი და თბილისში დაბრუნდნენ.

გუშინ ქალაქის მრავალმა მშრომელმა მოი- [illegible] თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სასპორტო დარბაზში შედგა ამხანაგური მატჩები კალათბურთში. „პიშჩევიკის“ სასპორტო დარბაზში მიმდინარეობდა შეჯიბრება ფრენბურთსა და კრივში.

21 დეკემბერს გაიმართა აგრეთვე შეჯიბრება ველოსპორტში, ტანვარჯიშში, ჭადრაკში.

**სურათზე:** ავტო-მოტოგადარბენის მონაწილე მოტომრბოლთა ჯგუფი ლენინის მოედანზე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

## რუსთაველის სახელობის თეატრში

გუშინ, 21 დეკემბერს, ი. ბ. სტალინის დაბადების 75 წლისთავის აღსანიშნავად რუსთაველის სახელობის თეატრმა მაყურებელს უჩვენა პ. პავლენკოს და მ. ჭიაურელის „დიადი მომავლისათვის“ (თარგმანი ლ. ასათიანისა).

ეს სპექტაკლი პირველად წარმოდგენილ იქნა 1949 წლის 20 დეკემბერს ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად. მას შემდეგ, ხუთი წლის მანძილზე, მას კვლავ დიდი წარმატება აქვს.

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის სტალინური პრემიის ლაურეატს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს ა. ვასაძეს, მხატვრობა — სტალინური პრემიის ლაურეატებს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეებს ფ. ლაპიაშვილს და დ. თავაძეს, მუსიკა სტალინური პრემიის ლაურეატს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ა. მაჭავარიანს.

სპექტაკლში, რომელიც გუშინ ოთხმოცდამეორეჯერ იქნა წარმოდგენილი, ი. ბ. სტალინის როლს ასრულებს სტალინური პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი გ. საღარაძე, ხოლო ვ. მ. მოლოტოვის როლს — რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. მჟავია.

რედაქტორი ნ. ჯაში.

# მშვიდობის შესახებ სტალინური იდეების შთამაგონებელი ძალა

(დასასრული)

მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის შესახებ.

მსოფლიოს ხალხებმა და განსაკუთრებით საბჭოთა ხალხმა უკვე ბევრი ღონისძიება მიიღეს იმისათვის, რომ განეხორციელებინათ ამხანაგ სტალინის მითითებანი მშვიდობისათვის მტკიცე ბრძოლის აუცილებლობის შესახებ, და დიდ წარმატებებს მიაღწიეს ამაში. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ევროპის ქვეყნების თათბირი, რომელიც ამას წინათ გაიმართა. თათბირი მოასწავებდა ახალ ეტაპს საყოველთაო უშიშროების განმტკიცებაში. მან ცხადყო, თუ რა დიდ საფრთხეს შეიცავს იმპერიალისტური ბლოკის მისწრაფება აღადგინოს გერმანიის მილიტარიზმი. მშვიდობისმოყვარე ქვეყნების ახალი ღონისძიებანი, როგორც ამხანაგმა მოლოტოვმა აღნიშნა ამ თათბირზე, „ვერ განისაზღვრება იმ ღონისძიებებით, რომლებსაც ისინი აქამდე იღებდნენ“. პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შემთხვევაში, აღნიშნულია საბჭოთა კავშირის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დეკლარაციაში, — აუცილებელი იქნება დასავლეთის ქვეყნების სამხედრო ბლოკის აგრესიულ ძალებს დაუპირისპირდეს მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა გაერთიანებული ძალისხმევა მათი უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის.

ჩინელი ხალხი მთლიანად და სავსებით უჭერს მხარს მოსკოვის თათბირის დეკლარაციას. ამავე დროს ჩინელი ხალხი აძლიერებს ბრძოლას ტაივანის განთავისუფლებისათვის. ტაივანი ჩინეთის ტერიტორიაა და ჩინელი ხალხი აუცილებლად გაათავისუფლებს ტაივანს. ეს სავსებით შესაბამება მორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის ინტერესებს. ფაქტები უდავოდ მოწმობენ იმას, რომ სანამ ტაივანი არ განთავისუფლებულა, სანამ ამერიკის შეიარაღებული ძალები მთლიანად არ დატოვებენ ტაივანისა და პენხულედაოს კუნძულების რაიონს, მანამდე უზრუნველყოფილი არ იქნება ჩინელი ხალხის უშიშროება და გარანტირებული არ იქნება მშვიდობა აზიაში. მთელ მსოფლიოში მშვიდობის შესანარჩუნებლად ჩინელი ხალხი მტკიცედ გამოდის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩან კაი-შის გამცემლურ ხროვას შორის „ურთიერთ უშიშროების ხელშეკრულების“ წინააღმდეგ. ჩინელ ხალხს მიაჩნია, რომ ამერიკელი იმპერიალისტების მიერ შეკოწიწებული ეს აგრესიული ხელშეკრულება წარმოადგენს სერიოზულ სამხედრო პროვოკაციას ჩინელი ხალხის მიმართ.

ამერიკელ იმპერიალისტებს სურთ დაგვაშინონ ამ სამხედრო პროვოკაციით, მაგრამ მათ დაავიწყდათ, რომ ჩინელი ხალხის დაშინება არაფრით არ შეიძლება. წარსულში ამერიკელმა იმპერიალისტებმა, რომლებიც მხარს უჭერდნენ ჩან კაი-შის მოღალატურ ხროვას, ჩინელ ხალხს თავს მოახვიეს სამოქალაქო ომი, მაგრამ ამას შედეგად მოჰყვა მხოლოდ ჩან კაი-შის რეჟიმის დამხობა და ჩინეთში ამერიკელთა პარპაშის ლიკვიდაცია. შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებმა ომი გააჩაღეს კორეაში, მაგრამ ომის ეს კერა ჩააქრეს კორეისა და ჩინეთის ხალხებმა. სწორედ ასევე ვიეტნამელმა ხალხმა, აღფრთოვანებულმა ჩინელი ხალხის წარმატებითი განმათავისუფლებელი ბრძოლის მაგალითით, ჩაშალა ამერიკელი იმპერიალისტების გეგმები, რომელთა მიზანი იყო ინდოჩინეთში ომის გაფართოება.

ჩვენს ხალხს მხურვალედ სურს მშვიდობა, მაგრამ მას მშვიდობა ასე ესმის: საკუთარი ტერიტორიისა და სუვერენიტეტის სანაცვლოდ მუდარით მიღებული მშვიდობა დამცირებაა და არა ნამდვილი მშვიდობა. ჩინელი ხალხი არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდება ასეთ სამარცხვინო დამცირებას. ნამდვილი მშვიდობის მისაღწევად და მშვიდობის შენარჩუნების საქმისათვის ჩინელი ხალხი აუცილებლად გაათავისუფლებს ტაივანს.

ამჟამად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამხანაგ სტალინის მიერ რამდენიმე წლის წინათ მოცემულ ბრძნულ მითითებას იმის შესახებ, რომ საჭიროა ხალხებმა თავიანთ ხელში აიღონ მშვიდობის შენარჩუნების საქმე და ბოლომდე დაიცვან იგი. აღვნიშნავთ რა ამხანაგ სტალინის დაბადების სამოცდამეთხუთმეტე წლისთავს, ჩვენ უნდა გავაასკეცოთ ჩვენი ღონისძიებანი და ბოლომდე მტკიცედ ვიბრძოლოთ მშვიდობის შენარჩუნების საქმისათვის!

პან ძი-ნიანი.

ქ. პეკინი.

(„პრავდა“ 20/XII).


**ოპერისა და ბალეტის თეატრი**

22 დეკემბერს
ჯ. ვერდი — **ტრავიატა**

23 დეკემბერს
ბ. ასაფიევი — **ბახჩისარაის შადრევანი**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**ოპერისა და ბალეტის თეატრი**

**საზამთრო არდადეგები**

**დილის სპექტაკლები მოსწავლეთათვის**

1 იანვარს
ზ. ფალიაშვილი — **დაისი**

2 იანვარს
რ. გლიერი — **წითელი ყაყაჩო**

3 იანვარს
ჯ. როსინი — **სევილიელი დალაქი**

4 იანვარს
ზ. ფალიაშვილი — **აბესალომ და ეთერი**

5 იანვარს
ჟ. ბიზე — **კარმენი**

6 იანვარს
პ. ჩაიკოვსკი — **გედების ტბა**

7 იანვარს
ვ. დოლიძე — **ქეთო და კოტე**

8 იანვარს
პ. ჩაიკოვსკი — **ევგენი ონეგინი**

9 იანვარს
ჯ. ვერდი — **რიგოლეტო**

10 იანვარს
დ. თორაძე — **გორდა**

დასაწყისი დღის 12 საათზე

**დისერტაციების დაცვა**

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი**

(მელიქიშვილის ქ. № 10)

4/I-55 წ. დღის 3 საათზე — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციებს დაიცავენ:

**ნათელა ლავრენტის ასული ქიქოძე**

თემაზე: „თირკმელების ფუნქციური მდგომარეობა ჰიპერტონიულ დაავადებასა და ექსპერიმენტული ჰიპერტენზიის ზოგიერთი ფორმების დროს“.

**მარგარიტა იოსების ასული მოშიაშვილი**

თემაზე: „К вопросу реактивности организма при дистрофии раннего детского возраста“.

დისერტაციების გაცნობა შეიძლება სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი**

(ძერჟინსკის ქ. № 8)

7/I-55 წ. დღის 1 საათზე სააქტო დარბაზში ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავს

**შალვა პორფილეს-ძე ჩიჩუა**

თემაზე: „დადებითი გმირის პრობლემა ქართულ საბჭოთა რომანში“.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

მოქალაქე **ეკატერინე ივანეს ასულმა ბუილოვამ**, მცხოვრებმა კამოს ქ. № 28, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ **შატრიან ნიკოლოზის-ძე ბუილოვთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო კოლეგია.

მოქალაქე ვასილ იაკობის-ძე იორდანაშვილმა, მცხოვრებმა ნარიოს აღმართი № 17, აღძრა საქმე თბილისის აეროპორტში მცხოვრებ მოქალაქე **ნუნუ ალექსის ასულ იორდანაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე თამარ შვილებით იუწყება **კონსტანტინე სიმონის-ძე ყოინაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-XII სოფელ კარდანახში.

მეუღლე ნატაშა ოჯახით იუწყება **შალვა ვასილის-ძე გორგაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24-XII, 8 ს. გამოსვენება 26-XII, 3 ს. კალანდაძის ქ. № 29.

მეუღლე თამარ შვილებით იუწყება **ერმილე ნანეს-ძე გოგეშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 22-XII, 8 ს. გამოსვენება 23-XII, 4 ს. ანაკლიის ქ. № 4.

შვილები გოგუცა, ტატიანა, ვალერიან, დიმიტრი, ალექსანდრე ოჯახებით იუწყებიან **ბაბინე ლუკას ასულ თალაკვაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-XII ნავთლუღში (მახარაძის რაიონი).

დედა ანეტა ოჯახით იუწყება **ლუბა გიორგის ასულ შარაშიძე-კალანდაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 22-XII, 8 ს. ბელინსკის ქ. № 2. დაკრძალვა 26-XII ქ. მახარაძეში.

მეუღლე პელაგია შვილებით იუწყება **ლევან ზაალის-ძე ლობილაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-XII, 7 ს. გამოსვენება 24-XII, 3 ს. თოიძის ქ. № 51.

მეუღლე ევგენია ოჯახით იუწყება **პიმენ კონსტანტინეს-ძე მიქელაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-XII ქ. ქუთაისში. გამოსვენება კიროვის ქ. № 42.

მეუღლე მარიამ ოჯახით იუწყება **პეტრე პავლეს-ძე ლითანიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 22-XII, 7 ს. გამოსვენება 23-XII, 3 ს. დავითაშვილის ქ. № 43.


**რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი:** თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის 3-77-70

უე 19131

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.